საქართველოს კანონი

რაჭის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს რაჭის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის სფეროში.

2. რაჭის ეროვნული პარკის მიკუთვნებული ტერიტორიისა და სხვა ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე ისტორიული ძეგლების განკარგვასთან, დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. კანონის ძირითადი მიზნებია:

ა) უზრუნველყოს რაჭის ეროვნული პარკის შექმნა;

ბ) უზრუნველყოს რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონის) შექმნა.

გ) მოაწესრიგოს რაჭის ეროვნული პარკისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონის) მართვის მექანიზმები;

2. კანონის ძირითადი ამოცანებია:

ა) ხელი შეუწყოს ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული, რაჭის ეროვნული პარკის ბუნებრივი ან სახეცვლილი ტერიტორიების დაცვას, აღდგენასა და გონივრულ გამოყენებას;

ბ) უზრუნველყოს რაჭის ეროვნული პარკის ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით საქართველოს „წითელ ნუსხაში“ და „გლობალურ წითელ ნუსხაში“ შეტანილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;

გ) უზრუნველყოს რაჭის ეროვნული პარკის ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მექანიზმების ჩამოყალიბება;

დ) უზრუნველყოს რაჭის ეროვნული პარკს მიკუთვნებული მიწის, წყლის, ცხოველთა სამყაროსა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და გონივრული გამოყენება;

ე) უზრუნველყოს რაჭის ეროვნულ პარკში განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ბუნებრივი და ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა, აღდგენა მონიტორინგის განხორციელება;

ვ) უზრუნველყოს უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების, ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად გადაგვარებისა და განადგურებისგან დაცვა;

ზ) ხელი შეუწყოს ხალხური შემოქმედების ტრადიციათა შენარჩუნებასა და განვითარებას რაჭის ეროვნული პარკის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე (დამხმარე ზონა).

მუხლი 3. რაჭის დაცული ტერიტორიების კატეგორიები

1. რაჭის დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ-ფუნქციური ორგანიზება ემყარება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ საფუძვლებს და მოიცავს დაცული ტერიტორიების შემდეგ კატეგორიებს:

ა) რაჭის ეროვნული პარკი - იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის დიდი გარემოსდაცვითი და ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივი ტერიტორიების, აგრეთვე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებული სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნებისათვის, რეკრეაციულ-ტურისტული საქმიანობისა და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის, ცენტრალურ კავკასიონზე ეკო-დერეფნების განვითარებისათვის. რაჭის ეროვნული პარკი საქართველოს დაცული ტერიტორიების ნაწილია;

ბ) რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა) - იქმნება მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის კატეგორიის გამოყენებით და გამიზნულია ბუნების დაცვისა და მდგრადი განვითარების ბალანსირებული საქმიანობის ხელშემწყობი და ადგილობრივი ფინანსური სახსრების გენერირების ღონისძიებების განსახორციელებლად.

2. ამ კანონით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების კატეგორიების ზონირება და ზონებში დაშვებული საქმიანობა, დგინდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შესაბამისი დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით.

მუხლი 4. რაჭის ეროვნული პარკის მდებარეობა და ფართობი

1. რაჭის ეროვნული პარკი იქმნება ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს - 64164.8 ჰექტარს;

2. რაჭის ეროვნული პარკი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	364006	4749982	56	390521	4728366	111	380998	4727278	166	362665	4733156
2	395058	4721612	57	390991	4728508	112	379914	4727361	167	362172	4734641
3	393582	4721093	58	391619	4728382	113	378686	4727477	168	362618	4736809
4	393460	4721832	59	391804	4728681	114	378463	4727151	169	363952	4738548
5	392993	4722463	60	392204	4728808	115	377666	4726911	170	363859	4739236
6	391710	4721766	61	392069	4728873	116	376791	4727368	171	363199	4742331
7	390393	4722031	62	392099	4729541	117	376273	4726750	172	361814	4743333
8	389271	4721628	63	391739	4729922	118	375948	4726630	173	363689	4745299
9	388305	4721975	64	390565	4729566	119	375377	4727192	174	362996	4746734
10	387961	4722673	65	390211	4730069	120	374982	4727821	175	362415	4747458
11	387318	4723512	66	389426	4729777	121	374901	4728178	176	362682	4748157
12	385870	4722376	67	388870	4729407	122	374366	4728985	177	363016	4748913
13	383222	4719875	68	387782	4729354	123	373806	4729967	178	367465	4744920
14	381611	4719396	69	387136	4730004	124	374417	4730905	179	367822	4745537
15	380347	4720882	70	385360	4730358	125	374181	4731237	180	367061	4746369
16	380800	4721295	71	384595	4730515	126	373516	4731443	181	369054	4747093
17	381030	4721923	72	384276	4730326	127	372936	4731902	182	370097	4747429
18	381201	4722437	73	384350	4732025	128	371580	4731450	183	370964	4747125
19	381524	4722958	74	383881	4732848	129	371111	4731608	184	373030	4747117
20	382164	4724042	75	381896	4734628	130	371099	4731658	185	372966	4746249
21	382397	4724157	76	381759	4735483	131	370822	4731688	186	373348	4745410
22	382464	4724532	77	382191	4735966	132	370781	4731382	187	374195	4744722
23	382668	4724813	78	381434	4736408	133	370583	4731046	188	373589	4744212
24	382858	4725356	79	381762	4738048	134	370244	4730931	189	373097	4743741
25	382960	4725946	80	382154	4738893	135	370071	4730647	190	372947	4742976
26	383180	4726300	81	380612	4740096	136	369996	4730161	191	372439	4742762
27	383247	4726678	82	380322	4737206	137	369811	4729876	192	372024	4742035
28	383430	4727015	83	378745	4736564	138	370263	4729326	193	371750	4742384
29	383448	4726990	84	376521	4738672	139	370572	4728829	194	381247	4741940
30	383562	4727031	85	374840	4739509	140	370987	4728408	195	380871	4742413
31	383666	4727195	86	374503	4739718	141	370834	4727954	196	381084	4742712

32	383684	4727306	87	372994	4738578	142	370248	4727375	197	380874	4743231
33	383658	4727308	88	371335	4738444	143	369876	4727065	198	380042	4743809
34	383669	4727386	89	370952	4739523	144	369404	4726769	199	379955	4744688
35	383796	4727552	90	369353	4739844	145	369183	4726339	200	380518	4744857
36	383841	4727684	91	369579	4739043	146	368386	4726066	201	381287	4744597
37	383887	4727650	92	368824	4738765	147	368115	4726357	202	381955	4745396
38	383887	4727609	93	368544	4737912	148	367913	4726271	203	382924	4744848
39	383901	4727610	94	369536	4736479	149	367520	4726576	204	382421	4744184
40	383905	4727651	95	372316	4737286	150	366967	4727702	205	382164	4744257
41	383859	4727705	96	373946	4736168	151	366704	4727852	206	382205	4743551
42	383857	4727716	97	376110	4735373	152	366527	4727480	207	381912	4743344
43	383847	4727717	98	376770	4734669	153	366862	4726917	208	382228	4742836
44	383884	4727802	99	377251	4733753	154	367078	4726554	209	382299	4742623
45	384151	4728276	100	379627	4733179	155	367073	4726162	210	382195	4742405
46	384471	4728589	101	381528	4731913	156	366638	4726056	211	381997	4742393
47	384728	4728829	102	382603	4730579	157	366647	4725775	212	397043	4729536
48	385147	4728833	103	383432	4730720	158	367128	4725282	213	396994	4729553
49	385853	4728643	104	383357	4729802	159	366336	4724839	214	397009	4729645
50	386638	4728628	105	383674	4728720	160	365163	4724474	215	397283	4729718
51	387546	4728529	106	383674	4727709	161	365179	4725202	216	397455	4729656
52	388668	4728377	107	383581	4727241	162	364921	4726152	217	397427	4729586
53	389597	4728497	108	382951	4727323	163	364248	4727504	218	397387	4729561
54	389697	4728391	109	382175	4727629	164	364133	4729858			
55	390211	4728782	110	381710	4727265	165	362970	4731160			

3. რაჭის ეროვნული პარკის ტერიტორიის საზღვარი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ N1 წერტილიდან გეოგრაფიული კოორდინატებით **X-364006, Y-4749982**, N2-ე წერტილამდე გეოგრაფიული კოორდინატებით **X-395058**, **Y-4721612** მიუყვება საქართველოს სახელმწიფო საზღვარს რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკასთან.

მუხლი 5. რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონა) მდებარეობა და დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი

1. რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა) მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს შემდეგ დასახლებულ პუნქტებსა და სოფლებს: უწერა, გლოლა, ჭიორა, ღები, პატარა ღები, გონა.

მუხლი 6. რაჭის ეროვნული პარკის სახელმწიფო მართვა

რაჭის ეროვნული პარკის სახელმწიფო მართვა ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 7. რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონა) სახელმწიფო მართვა

რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონა) სახელმწიფო მართვას ახორციელებს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო. საჭიროების შემთხვევაში ზონის მართვის, მოქმედებათა კოორდინაციისა და დაშვებული საქმიანობის განვითარება განისაზღვრება სპეციალური პროგრამით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 8. ქონებრივი ურთიერთობები, მიწათსარგებლობით, სასარგებლო წიაღისეულითა და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები

ეს კანონი არ ვრცელდება რაჭის ეროვნული პარკის ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ:

ა) ქონებრივ ურთიერთობებზე (მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის, უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, გაცვლის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის, იპოთეკისა და იჯარით გაცემის შემთხვევებში არსებულ ურთიერთობათა ჩათვლით);

ბ) სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე;

გ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებებით ან/და გაცემული ლიცენზიებით განსაზღვრულ ურთიერთობებზე.

მუხლი 9. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს ----------

საქართველოს პრეზიდენტი

განმარტებითი ბარათი

„რაჭის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 1990-1991 წლებში დამუშავდა საქართველოში დაცული ტერიტორიების სივრცითი სტრუქტურის განვითარების პირველი სქემა, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველი და გერმანელი ექსპერტები. აღნიშნული სქემის ფარგლებში უნდა დაარსებულიყო ეროვნული პარკები საქართველოს შემდეგ რეგიონებში, კერძოდ კოლხეთის დაბლობი, ცენტრალური კავკასიონი, ფშავ-ხევსურეთ-თუშეთი, მთიანი კახეთი, ივრის ზეგანი, ბორჯომი და აჭარა-გურია-იმერეთი. დღეის მდგომარეობით დაარსებულია „კოლხეთის ეროვნული პარკი“, „ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი“, „თუშეთის ეროვნული პარკი“, „ვაშლოვანის ეროვნული პარკი“, „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი“. დარჩენილია ეროვნული პარკების დაარსება ცენტრალურ კავკასიონზე და ერუშეთში.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2016-2017 წლებში გერმანიის მთავრობის (BMZ) დაფინანსებით და WWF-ის ტექნიკური ხელშეწყობით ჩატარდა დეტალური კვლევები ბიომრავალფეროვნების (ფლორა, ფაუნა, ეკოსისტემები) და სოციალურ-კულტურული ასპექტების მიმართულებით რაჭის ეროვნული პარკის დაარსების მიზნით. გაანალიზდა რაჭის ეროვნული პარკის შექმნის დადებით მხარეები საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის და ეკო-დერეფნების განვითარების კონტექსტში.

ეროვნული პარკის ტერიტორია მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში, ძირითად ლანდშაფტს წარმოადგენს ფოთლოვანი და შერეული ტყე, დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე გვხვდება მთლიანად წიწვოვანი კორომები ან შერეული ტყეები წიწვოვანი ტყეების უპირატესობით. ჩამოყალიბებულია სუბალპური და ალპური მდელოები. რაჭაში არის სუბნივალური და ნივალური სარტყელებიც მუდმივი თოვლითა და მცირე ზომის მყინვარებით. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კარგადაა გამოხატული ტყის სუბ-ალპური, ალპური, სუბნივალური და ნივალური სიმაღლებრივი სარტყლები. ტყის სარტყელში განვითარებულია შერეული ფართოფოთლოვანი და მუხნარი ტყეები ზ.დ. 1000-1200 მ სიმაღლეზე. ექსპოზიციისა და ჰიფსომეტრიულობის ცვლილებასთან ერთად საკმაოდ მრავალფეროვანია ფოთლოვანი ტყეების ტიპები. ედიფიკატორებს წარმოადგენს - Fagus orientalis,

Carpinus betulus, Acer platanoides, Castanea sativa, Quercus iberica, Acer laetum, Tilia begoniifolia, გვხვდება ასევე Ulmus elliptica.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოვლენილი წითელი ნუსხის ხემცენარეთა სახეობები: *Castanea sativa* Mill (**VU);** *Buxus colchica* Pojark(**VU);** *Quercus macranthera* Fisch et Mey (**VU);** *Taxus baccata* L (**VU);** *Ulmus glabra* Huds (**VU);** *Juglans regia* L (**VU);** *Pterocarya pterocarpa* (Michx.) Kunth(**VU).**
ტყის მცენარეულობა საგრძნობლად იცვლება ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად. სუბალპურ სარტყელში ტყეები 2200-2400 მ სიმაღლეზე მხოლოდ ფრაგმენტულად გვხვდება და ქმნის პატარ-პატარა კორომებს. მთაში ტყეების ზედა საზღვრებს ქმნის ლიტვინოვის არყი (Betula litwinowii), ცირცელი (Sorbus caucasigena), მდგნალი (Salix caprea), მაღალმთის ბოყვი (Acer trautvetteri), მთრთოლავი ვერხვი (Populus tremula), სუბალპური ტყის ფიზიონომიური ტიპებიდან აღსანიშნავია ტანბრეცილი არყნარები და ფიჭვნარები, პარკული ტიპის ტყეები Acer trautvetteri-s მონაწილეობით. სუბალპური ბუჩქნარებიდან აღსანიშნავია ხუნწი (Ribes biebersteinii), დეკა (Rhododendron caucasicum), მაჯაღვერი (Daphne mezereum), იელი (Rhododendron luteum), ასკილები (Rosa) და სხვ. ჩვენი გამოკვლევების მიხედვით, რაჭის მაღალი მთის (ზ.დ. 1900-2500 მ სიმაღლეები) დენდროფლორის სიმდიდრე შეადგენს 32 სახეობას, რომლებიც გაერთიანებულია 11 ოჯახსა და 17 გვარში.რაჭის კავკასიონის ფარგლებში განსაკუთრებული ფლორისტული სიმდიდრით გამოირჩევა სუბალპური და ალპური მეზოფილური ნაირბალახოვანი (Geranium gymnocaulon, Betonica macrantha, Anthylis variegata, Lotus caucasicus, Trifolium campestre, T. canescens, Vicia grossheimii) და მარცვლოვან-ნაირბალახოვანი (Anthoxanthum odoratum, Bromopsis variegata, Calamagrostis arundinacea, Festuca djimilensis, Dactylis glomerata, Phleum alpinum, Trifolium ambiguum, T. canescens, Pedicularis condensata, Ranunculus elegans, R. raddeanus) მდელოები.

წითელი ნუსხის ზოგიერთი სახეობა ამავდროულად კავკასიის ენდემიცაა და მოითხოვს განსაკუთრებულ კონსერვაციას. მოხდა საქართველოს წითელი ნუსხის სახეობებისათვის საკვანძო ტერიტორიებისა და ამ სახეობებზე მოქმედი საფრთხეების იდენტიფიცირება. კერძოდ:

ნაკადულის კალმახი - Salmo trutta Linnaeus, აჭარული ხვლიკი - Darevskia mixta, დინნიკის გველგესლა - Vipera dinniki Nikolskii, კავკასიური გველგესლა - Vipera kaznakovi Nikolskii, სამხრეთული ცხვირნალა – Rhinolophus euryale, ევროპული მაჩქათელა - Barbastella barbastellus Schreber, წავი - Lutra lutra, დათვი - Ursus arctos Linnaeus, ფოცხვერი - Lynx lynx, კავკასირი ციყვი - Sciurus anomalus Gmelin, ქლუხორული თაგვანა - Sicista kluchorica Sokolov, Kovalskaya et Bascevich, პრომეთეს მემინდვრია - Prometheomys schaposchnikovi Satunin, აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი - Capra cylindricornis Blyth, არჩვი - Rupicapra rupicapra, ორბი - Gyps fulvus, ბატკანძერი (კრავიჭამია) - Gypaetus barbatus, მთის არწივი - Aquila chrysaetos, ბუკიოტი - Aegolius funereus, კავკასიური როჭო - Lirurus mlocosiewiczi, წითელმუცელა ბოლოცეცხლა - Phoenicurus erythrogaster, დიდი კოჭობა - Carpodacus rubicilla, ყარყატი - Ciconia nigra;

რაჭის ეროვნული პარკისათვის განსაზღვრული ტერიტორია აკმაყოფილებს, როგორც „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ასევე საერთაშორისო კონვენციასთან ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (CBD - Convention on Biological Diversity; საქართველო მხარეა 1994 წლიდან), სახელდობრ - მისი ახალი სტრატეგიის (აიჩი 2020) მე-11 სტრატეგიულ მიზანთან, რომელიც მოითხოვს „2020 წლისთვის, ხმელეთისა და შიდა წყლების ფართობის, სულ მცირე, 17% და სანაპიროსა და საზღვაო ფართობის 10%, განსაკუთრებით ის ტერიტორიები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების თვალსაზრისით, მოქცეული იქნას დაცული ტერიტორიების საზღვრებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადებული იქნა კანონის პროექტი „რაჭის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი დაცული ტერიტორიის - რაჭის ეროვნული პარკის დაარსება. რაჭის ეროვნული პარკის დაარსება ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვას, ეკო-დერეფნების ქსელის გაფართოვებას, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას და დასაქმებას ტურისტულ სერვისებში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი შედგენილია “ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. იგი შედგება 9 მუხლისგან, რომლებიც თანმიმდევრულად ასახავენ კანონპროექტის ძირითად დებულებებს.

კანონის პირველი მუხლით განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო.

კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულია კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულია დაცული ტერიტორიების კატეგორიები, კერძოდ: რაჭის ეროვნული პარკი და რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა).

კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია რაჭის ეროვნული პარკის მდებარეობა და ფართობი, საზღვრები და ის ტერიტორიები, რომლებიც უნდა გადაეცეს დაცულ ტერიტორიებს.

კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავს რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაში (დამხმარე ზონა) შემავალ სოფლებს, კერძოდ: უწერა, გლოლა, ჭიორა, ღები, პატარა ღები, გონა.

კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულია რაჭის ეროვნული პარკის სახელმწიფო მართვა, კერძოდ რაჭის ეროვნული პარკის მართვა განხორციელდება „დაცული ტერიტორიების სიტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის საფუძველზე.

კანონის მე-7 მუხლი არეგულირებს რაჭის მრავალმხრივი გამოყენებისა ტერიტორიის (დამხმარე ზონა) მართვის საკითხი, კერძოდ რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის სახელმწიფო მართვას ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის თვითმართველობის ორგანო. საჭიროების შემთხვევაში ზონის მართვის, მოქმედებათა კოორდინაციისა და დაშვებული საქმიანობის განვითარება განისაზღვრება სპეციალური პროგრამით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

კანონის მე-8 მუხლი არეგულირებს რაჭის ეროვნული პარკის შექმნასთან დაკავშირებული მიწათსარგებლობის, სასარგებლო წიაღისეულით და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კანონის მე-9 მუხლი არეგულირებს რაჭის ეროვნული პარკის ამოქმედების თარიღს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ოდენობამ უნდა შეადგინოს 1 057 200 ლარი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება დადებით გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რეკრეაციული პოტენციალის სრულად გამოყენებას, რაც თავის მხრივ, რაციონალური დაგეგმვისა და მართვის პირობებში უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღების წყაროდ შეიძლება იქცეს, როგორც საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც. ამასთან, საქართველოს სწრაფი ეკონომიკური ზრდის პირობებში სწორედ დაცულმა ტერიტორიებმა უნდა უზრუნველყონ საქართველოს გამორჩეული ბუნებრივი მრავალფეროვნებისა და მოსახლეობისათვის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება. ბუნებრივი ტერიტორიების ტრანსფორმაციის შეჩერების, მათი სამეურნეო ზეწოლისაგან დაცვის

მიზნით, დიდი მნიშვნელობა ექნება დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებასა და გაფართოებას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი უნდა იქნას 1 048 800 ლარი. რაჭის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ბიუჯეტის თანხები განაწილდება შემდეგი პროპორციით (ცხ. №1):

აღსანიშნავია, რაჭის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში დასაქმდება 27 ადგილობრივი მოსახლე. (დირეტორი, დაცვის უფროსი, 4 უბნის უფროსი რეინჯერი, 17 რეინჯერი, 1 ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი, ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, 1 ბუღალტერი, 1 ვიზიტორთა სპეციალისტი);

№	თანამდებობა	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)	სულ წლის განმავლობაში (ლარი)
1	დირექტორი	1	2000	24 000
2	დაცვის განყოფილების იფროსი	1	1300	15600
3	ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი	1	1200	14400
4	ბუღალტერი	1	700	8400
5	ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი	1	700	8400
6	ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი	1	700	8400
7	უბნის უფროსი	4	750	36000

	რეინჯერი			
8	რეინჯერი	17	700	142000
სულ				257 200

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა განაწილდება შემდეგი პროპორციით:

რაჭის ეროვნული პარკის ბიუჯეტი	ლარი
სულ	1 057 200
მ.შ. შრომის ანაზრაურება	257 200
საქონელი და მომსახურება	300 000
კაპიტალური ხარჯი	500 000

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;
ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

WWF კავკასიის პროგრამული ოფისი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა.